საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 24 დეკემბრის
დადგენილება № 375

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

არჩევნების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები გამოცხადდეს 2011 წლის 10 იანვარს.
2. არჩევნები ჩატარდეს „სტუ-ს მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების შესაბამისად;

3. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა დაკავებული თანამდებობის შესახებ, სამოქმედო გეგმა, აგრეთვე ინფორმაცია განათლების, შრომითი გამოცდილების, აკადემიური ხარისხის თაობაზე;

4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2011 წლის 20 იანვარს და დამთავრდეს 2011 წლის 29 იანვარს. არჩევნები აკადემიურ საბჭოში გაიმართოს 2011 წლის 7 თებერვალს;

5. არჩეული კანდიდატურა წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინოს არა უგვიანეს 2011 წლის 10 თებერვლისა;

6. წარმომადგენლობით საბჭოში კანდიდატურის დამტკიცების პროცედურა ჩატარდეს არა უგვიანეს 2011 წლის 14 თებერვლისა;

7. .განცხადება არჩევნების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „24 საათში“ და განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე;

8. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს კანდიდატურის წარმომადგენლობით საბჭოში დამტკიცებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**